

---

## შესავალი

ავადმყოფობათა კლასიფიკაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც კატეგორიების სისტემა, რომელშიც არსებული დაავადებები განსაზღვრულია დამკვიდრებული კრიტერიუმების მიხედვით. მრავალი შესაძლო კლასიფიკაციიდან უნდა შეირჩეს ერთი, რომელმაც შეიძლება მოიცვას არსებული სტატისტიკური მონაცემები. ავადმყოფობათა სტატისტიკური კლასიფიკაცია უნდა მოიცავდეს ავადმყოფურ მდგომარეობათა მთელ სფეროს კატეგორიათა ადვილად სამართავი რაოდენობის პირობებში.

“ავადმყოფობათა საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები”-ის მეათე გადახედვა საბოლოოა იმ სერიებიდან, რომლებიც პირველად 1893 წელს ჩამოყალიბდა, როგორც “ბერგილიონის კლასიფიკაცია ანუ სიკვდილის მიზეზების საერთაშორისო ნუსხა”. კლასიფიკაციათა სრული ისტორიული მიმოხილვა მოცემულია მე-2 ტომში. სახელწოდება შესწორდა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო შინაარსი, ამოცანები და ასახულიყო კლასიფიკაციათა ჰორიზონტის გაფართოება არსებული დაავადებისა და დამიანებების თაობაზე, ხოლო ცნობილი აბრევიატურა “ICD” დატოვებულ იქნა. უახლესი კლასიფიკაციის მიხედვით ავადმყოფობები დაჯგუფებულია ისე, რომ შეესაბამება ზოგად ეპიდემიოლოგიურ მოთხოვნებს და ადვილად გამოსაყენებელია ჯანმრთელობის დაცვის შეფასებისათვის.

მეათე გადახედვაზე მუშაობა დაიწყო 1983 წლის სექტემბერში ჟენევაში. სამუშაო პროგრამის შესრულებას მუდმივზედახედვლობას უწევდა ავადმყოფობათა კლასიფიკაციის ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული ცენტრების ხელმძღვანელთა საბჭო. 1984 და 1987 წლებში ავადმყოფობათა მეათე გადახედვას მიეძღვნა საექსპერტო კომიტეტის საგანგებო სხდომები. სპეციალისტთა მრავალი ჯგუფისა და ცალკეულ ექსპერტთა მიერ გაწეული გეგმიური თანამშრომლობის გარდა, დიდი რაოდენობით შენიშვნები და წინადადებები იქნა მიღებული ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისა და რეგიონული დაწესებულებისაგან, სადაც ავადმყოფობათა რევიზიის მოსამზადებელი პროექტების საყოველთაო განხილვა მოეწყო 1984 და 1986 წლებში. მიღებული შენიშვნებიდან ცხადი გახდა, რომ მომხმარებლის სურვილს წარმოადგენდა ავადმყოფობათა მეათე გადახედვის დროს ყურადღების გამახვილება ავადმყოფობათა გიპურ მოდელზე, რაც ხშირ შემთხვევებში გადაფარული რჩებოდა და არა “სადიაგნოსტიკო ინფორმაციაზე” (ამ ცნების ფართე გაგებით). მომხმარებელთა მზარდი სურვილების დასაკმაყოფილებლად, როგორც სჩანს, საჭიროა კლასიფიკაციათა მთელი “ოჯახი”, რომლის ბირთვს გრადიციული “ავადმყოფობათა საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია” (ICD) წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილი ფორმითა და სტრუქტურით. ICD თავისთავად აკმაყოფილებს ზოგად მოთხოვნებს სადიაგნოსტიკო ინფორმაციაზე, თუმცა ამისათვის დამატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა კლასიფიკაციები, რომლებშიც მოცემულია იგივე ინფორმაციისადმი განსხვავებული მეთოდური მიდგომა ან განსხვავებული ინფორმაცია (განსაკუთრებით ეს ეხება სამედიცინო და ქირურგიულ პროცედურებს და შრომის უუნარობის პრობლემებს).

კლასიფიკაცია მეცხრე გადახედვის შემდეგ გამოიკვეთა აზრი, რომ სხვადასხვა ტიპის მრავალრიცხოვან მომხმარებელთა მოთხოვნების უკეთ დასაკმაყოფილებლად საჭიროა ძირითადი სტრუქტურის შეცვლა. შესაბამისად, გარჩეული იქნა რამოდენიმე ალტერნატიული მოდელი. თუმცა, ცხადი გახდა, რომ კლასიფიკაციის გრადიციულმა ერთიანმა-ცვლად-ღერძულმა კონსტრუქციამ და მისი სტრუქტურისათვის დამახასიათებელმა სხვა ასპექტებმა, რომლებშიც გათვალისწინებული იყო მდგომარეობათა სისხირე, ფასეულობა და მნიშვნელობა საერთო-სახალხო ჯანმრთელობისათვის, გაუძლო დროის გამოცდას და მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა მემოდალნიშნული კლასიფიკაციის ნებისმიერი სხვა მოდელით შეცვლის წინააღმდეგი იქნებოდა.

საბოლოოდ, როგორც თვით მეათე გადახედვა გვიჩვენებს, გრადიციული ICD სტრუქტურა შენარჩუნებული იქნა, თუმცა ანბანურ რიცხობრივმა კოდურმა სისტემამ შეცვალა ადრე არსებული რიცხობრივი სისტემა. აღნიშნული ცვლილება კოდის მიკუთვნების საჭიროებისამებრ გაფართოებისა და ახალი ნუმერაციის წარმოების საშუალება იძლევა ხელახალი გადახედვის შემთხვევაში უკვე გამოყენებული ნუმერაციული სისტემის დამიანების გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა წინა გადახედვების დროს.

მოცემული სფეროს ოპტიმალური გამოყენებისათვის იმუნური მექანიზმით მიმდინარე ზოგიერთი დარღვევა ჩავრთეთ სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობათა თავში (III თავი). თვალისა და თვალის დანამატების, ყურისა და ღვრილისებრი მორჩის ავადმყოფობებისთვის შეიქნა ახალი თავები. ადრე არსებულ კლასიფიკაციათა დანართები, რომლებიც ეხებოდა გარეშე მიზეზებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოქმედ ფაქტორებს, ასევე ურთიერთობას ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებთან,

შეგანილია ძირითადი კლასიფიკაციაში.

ზოგიერთი სადიაგნოსტიკო ერთეულის დუალური კლასიფიკაციისათვის გამოყენებული “ჯერისა” და “ვარსკლავის” სისგემა, რაც შემოღებული იყო მეცხრე გადახედვის დროს, დატოვებულია და კიდევ უფრო ფართოდაა გამოყენებული; ვარსკლავა ღერძული სისგემით ვისარგებლეთ მესამე რიგის ერთნაირი კატეგორიების დასახელების დროს.

**ავადმყოფობათა მეათე გადახედვის სამტომეულის შინაარსი**

კლასიფიკაცია მოცემულია სამ გომად:

**ტომი 1. ტაბულური ნუსხა.** აქ შედის კლასიფიკაციათა მეათე გადახედვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის ანგარიში, თვით კლასიფიკაცია მესამე და მეოთხე რიგის კატეგორიათა დონეზე, სიმსივნეთა მორფოლოგიური კლასიფიკაცია, სიკვდილიანობისა და ავადობის საგანგებო ტაბულური ნუსხა, განმარტებები და ნომენკლატურული მითითებები.

**ტომი 2. ინსტრუქციითა ცნობარი.** აქ გაერთიანებულია შენიშვნები, რომლებიც ადრე შეგანილი იყო I გომში და ესება ავადმყოფობათა კლასიფიკაციას. აღნიშნული გომი შეიცავს ბევრ ახალ ინსტრუქციას და წარმოადგენს სახელმძღვანელოს I გომის გამოყენებისათვის. მასში მოცემულია ახსნა განმარტებები ცხრილებისათვის და სამუშაო გეგმა ICD უკეთ მოსახმარებლად. შემოსვენებული ინსტრუქციები არ ახლდა ძველ გადახედვებს. აქვე მოცემულია ისტორიული მიმოხილვაც, რაც ადრე წარმოდგენილი იყო I გომის შესავალ ნაწილში.

**ტომი 3. აღფაბეტური ინდექსი.** წარმოადგენს აღფაბეტურ მაჩვენებელს, აქვს შესავალი ნაწილი და ვრცელი მითითება მოსახმარებლად. კლასიფიკაცია მოიწონა ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მეათე გადახედვისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო კონფერენციამ 1989 წელს და მიიღო და დაამტკიცა მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის 43-ე ასამბლეამ შემდეგი რეზოლუციის სახით: ჯანმრთელობის დაცვის ორმოცდამესამე მსოფლიო ასამბლეა, ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მეათე გადახედვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის ანგარიშის განხილვის შემდეგ

1. იღებს კონფერენციის მიერ წარმოდგენილ შემდეგ მასალებს:

- (1) მესამე რიგის კატეგორიათა ლეგალურ და მეოთხე რიგის ქვეკატეგორიათა ფაკულტატურ ნუსხას სიკვდილიანობისა და ავადობის მოკლე ტაბულურ ნუსხებთან ერთად, რომლებიც შეადგენენ “ავადმყოფობათა საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების ” მეათე გადახედვას, რომელიც ძალაში შედის 1993 წლის 1 იანვრიდან;
- (2) განმარტებებს, სტანდარტებს და მოხსენებათა მასალებს, დაკავშირებულს დედათა, ნაყოფის, პერინატალურ, ნეონატალურ და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობასთან;
- (3) წესებსა და მითითებებს სიკვდილიანობის გამომწვევი მიზეზებისა და ავადობის ძირითადი გარემოებების განსაზღვრისათვის.

2. მიმართავს გენერალურ დირექტორს, რათა გამოიცეს ცნობარი “ავადმყოფობათა საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები”.

3. ამტკიცებს კონფერენციის რეკომენდაციებს შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- (1) ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების კლასიფიკაციათა ოჯახურ პრინციპს კონცეფციისა და მისი განხორციელების შესახებ. კლასიფიკაციათა აღნიშნული “ოჯახიდან” ძირითადად წარმოადგენს “ავადმყოფობათა საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები”, რომელსაც დაემატება სხვადასხვა მონათესავე და დამატებითი კლასიფიკაციები და “ავადმყოფობათა საერთაშორისო ნომენკლატურა”.
- (2) შემოღებული იქნას ათწლიანი სარევიზიო ციკლები ხელახალი გადახედვისათვის.